აფროამერიკელ ქალთა ნარატივები: სამი ქალი – ერთი პრობლემა

ლიზი ძაგნიძე

ინგლისური ფილოლოგიის დოქტორანტი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი

ადამიანების ცხოვრება ფორმირდება განსხვავებული სოციალური მახასიათებლების ერთმანეთთან ურთიერთქმედებით (მაგალითად: რასა/ ეთნიკურობა, სექსუალობა, გეოგრაფია, ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობა, მიგრაციის სტატუსი, რელიგია) და ამ მონაცემებს შორის კონტაქტი ქმნის ახალ სურათს და ახალ პრობლემებს. 1989 წელს რასის თეორიისა და ქალთა საკითხების მკვლევარმა კიმბერლი ვილიამ ქრინშოუმ სოციალურ მეცნიერებებში შემოიტანა ინტერსექციონალურობის (Intersectionality) კონცეფცია (Crenshaw, 2014, p. 303). ამ კრიტიკული თეორიის მიხედვით, მარგინალიზებული საზოგადოებრივი ინსტიტუტები გარკვეულ დონეზე ურთიერთკავშირშია და შეუძლებელია მათი შესწავლა ერთმანეთის გათვალისწინების გარეშე. ეს ფაქტი ართულებს რასასთან, გენდერთან და სექსუალობასთან დაკავშირებული სოციალური პრობლემების ადეკვატურად გააზრებასა და გადაჭრას. თუმცა უნდა ითქვას, რომ ხელს შევუშლით ობიექტური სურათის შექმნას, თუ ამა თუ იმ პრობლემას მხოლოდ დემოგრაფიის დიდ, ასე ვთქვათ, უფრო მეტად პრივილეგირებულ ნაწილს მოვარგებთ. მაგალითად, თუ გამოვდივართ სექსიზმის წინააღმდეგ, უნდა გავითვალისწინოთ და განვიხილოთ როგორც ლესბოსელების, ისე გეი ადამიანების მიმართ დისკრიმინაცია, რასიზმის შემთხვევაში კი ისევეა აფროამერიკელ მამაკაცთა მდგომარეობა გასათვალისწინებელი, როგორც ლათინოამერიკელი ქალებისა. ხოლო ჩვენს შემთხვევაში, თუ გამოვდივართ სექსიზმის წინააღმდეგ და განვიხილავთ ქალთა უფლებებისთვის ბრძოლას, ეს არ უნდა ემყარებოდეს მხოლოდ თეთრკანიანი ქალების გამოცდილებას, მაშინ როცა აფროამერიკელი ქალები ერთ-ერთი ყველაზე შევიწროებული დემოგრაფიული ჯგუფია ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში (Lendon, 2018).

პირველი წყარო, რომელსაც ქალთა უფლებებისთვის აქტივისტობის პროცესიდან განვიხილავ, არის ნარატავი სოჯორნერ თრუსის გამოსვლიდან "Ain't I a Woman" (Truth, 1851), რომელშიც ავტორი გამოდის ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ, თუმცა ასევე განიხილავს უსამართლო და არაადამიანურ დამოკიდებულებას ყოფილი მონების მიმართ და ხაზს უსვამს შავკანიანი ქალების მარგინალიზაციას ფემინისტური მოძრაობის ჭრილში. მოკლედ რომ ვთქვათ, ის სრულად ითვალისწინებს ინტერსექციონალურობის პრინ-

ციპს ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ის ტერმინად ჩამოყალიბდებოდა. შაინტერესოა, რატომ უნდა გვაინტერესებდეს ის დღევანდელ დროში. საქმე ისაა, რომ დისკრიმინაცია, ისევე როგორც გასულ საუკუნეებში, ახლაც ახერხებს გადაფაროს სოციალური ინსტიტუტების მრავალფეროვანი მახასიათებლები. თუ აზიელი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალი არის დისკრიმინირებული, მის წინააღმდეგ დისკრიმინაციის მთელი სპექტრია – ფაქტი, რომ ის აზიელია, ფაქტი, რომ ის შშმ პირია და ფაქტი, რომ ის ქალია. იგივე შეიძლება ვთქვათ შავკანიან ტრანსსექსუალ მამაკაცზე, მარტოხელა ლათინო დედაზე და ა.შ.

თუ ვიმსჯელებთ ინტერსექციონალურობის მიხედვით, დისკრიმინაცია და წინასწარ შექმნილი უარყოფითი დამოკიდებულება სხვადასხვა მიზეზების გამო ხდება ერთად და, როგორც სოჯორნერ თრუსის ნარატივმა დაამტკიცა ჯერ კიდევ 1851 წელს, როდესაც იზღუდები სექსიზმისა და რასიზმის გამო, ეს არ ნიშნავს ამ ინსტიტუციების ორ სხვადასხვა მხარესთან ჭიდილს. საქმე გვაქვს სანიმუშო ჩაგვრასთან და შევიწროებასთან, რომელშიც სექსიზმი და რასიზმი ტანდემში მუშაობს.

თრუსი რიტორიკას თავის ცნობილ გამოსვლაში იწყებს იმის აღნიშვნით, რომ შავკანიანი მამაკაცებისა და ქალების შეკრება ყველა იმ ადამიანის გულში უნდა იწვევდეს ძრწოლას, რომელიც 1800-იანების სტატუს კვოს ანიჭებდა უპირატესობას. ეს უკანასკნელი კი ასე გამოიყურებოდა – ქალები უნდა იყვნენ ყოველთვის დაცულნი და მათ გადაადგილებაშიც კი უნდა დაეხმარონ, თუმცა საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ეს არ ვრცელდება შავკანიან ავტორზე. ამით ის ხაზს უსვამს ორ პრობლემას, პირველი, ის, რომ ქალები არ არიან ფაქიზი არსებები და მეორე, ის, რომ თვითონ, როგორც აფროამერიკელი ქალი, რომელიც კაცივით მუშაობს (და კაცივით ისჯება ფიზიკურად), მიჩნეულია ნაკლებ ქალად და ფართო სურათში – ნაკლებ ადამიანად. შემდეგ ის უკვე ეხება უფლებების არათანასწორობასა და ნაკლებობას, აღნიშნავს, რამდენი გამამართლებელი საბაბი შეიძლება მოუყვანოს თეთრკანიანმა ადამიანმა იმის ასახსნელად, თუ რატომ უნდა ჰქონდეს, მას, როგორც ქალს, ნაკლები უფლება მამაკაცთან შედარებით, თუმცა ავტორი სწორად ასკვნის, რომ აქ საქმე არ გვაქვს კაცების უფლებების შეზღუდვასთან იმის ხარჯზე, რომ მას ქალები მიიღებდნენ – მამრობითი სქესის წარმომადგენლებს, უბრალოდ, არ სურდათ ზემოხსენებული სტატუს კვოს დარღვევა. მეტი დამაჯერებლობისთვის ავტორს მოყვანილი ჰყავს ის ქალები, რომლებმაც მოახერხეს შეეცვალათ მსოფლიო, საუბარია ევასა და ღვთისმშობელზე და ამით ღირსეულად უპირსპირდება მისი თანამედროვეების მოსაზრებას, რომ ქალებს არ შეუძლიათ მნიშვნელოვანი ცვლილების ან საქმის გაკეთება. ნარატივიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ 1800-იან წლებში მამრობით სქესს მკ-

აცრად განსაზღვრული იერარქია ჰქონდა, რომლის დარღვევაც, მართალია, უშუალოდ მათი უფლებების შემცირებას არ გამოიწვევდა, თუმცა მაინც ნეგატიურ და დაუშვებელ ხასიათს ატარებდა. გამოსვლის საბოლოო ნოტა "*they is asking to do it [change the world], the men better let them*" ზედმიწევნით გამოხატავს სოჯორნერისა და ქალთა უფლებებისთვის მებრძოლი სხვა ადამიანების სულისკვეთებას – მიუხედავად იმისა, რომ ის თავიდან ნებართვის აღებას ჰგავს, რეალურად, ნახევრად მუქარის ხასიათს ატარებს, ვინაიდან გაუთავებელ ლოდინსა და თხოვნების დაუკმაყოფილებლობას დისკრიმინირებული ჯგუფი საბოლოოდ აჯანყებისა და პროტესტის დონემდე მიჰყავს, ამას კი, ავტორს თუ დავესესხებით, „ჭკვიანები" [კაცები] კარგად უნდა აანალიზებდნენ. ეს კარგად ჩანს სოჯორნერის, იმავე იზაბელა ბამფრის ძალიან საინტერესო ბიოგრაფიული მონაცამებიდან – როდესაც 1817 წელს ნიუ იორკის შტატმა ნაწილობრივ გააუქმა მონობა, ის წლები ელოდა, როდის შეძლებდა პლანტაციიდან წასვლას, თუმცა დაიღალა მისი „მფლობელის" ტყუილი დაპირებებით და 1826 წელს თავის შვილთან ერთად ქალაქიდან გაიქცა (Ruffin, 202).

ამგვარად, ვასკვნით, როდესაც დამოუკიდებლობის დეკლარაციაში ვკითხულობთ, რომ ყველა ადამიანი თანასწორია, ამაში შედის აბსოლუტურად ყველა ადამიანი და არა მხოლოდ თეთრკანიანი მამაკაცები, როგორც ეს მე-19 საუკუნეში იყო გაბატონებული. ავტორის მიხედვით, საერთოდ არ არსებობს თანასწორობის კონცეფცია, თუ ყველა ინდივიდი არ არის თანასწორი. ამასთან ერთად, თავის სიტყვაში ის ყურადღებას ამახვილებს ფარისევლობასა და თვალთმაქცობაზე – მაშინ, როცა ზუსტად ისე ცხოვრობს, იქცევა და ისჯება, როგორც კაცი, ლოგიკურად, ისე უნდა მოექცნენ სხვები, როგორც კაცს ექცევიან.

ეს ლეგენდარული ადამიანი, რომელმაც 1800-იან წლებში ორჯერ მოიგო სასამართლო პროცესი და თავისი სიცოცხლე ადამიანის, კერძოდ კი, აფროამერიკელებისა და ქალების უფლებებისათვის ბრძოლას მიუძღვნა (Accomando, 2003, p. 61), ნათლად გამოხატავს მე-19 საუკუნის უფლებათა დამცველების სულისკვეთებას და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ შეუძლებელია მხოლოდ ქალთა ჩაგვრა განვიხილოთ, თუ არ ვახსენებთ იმ სპეციფიკურ პრობლემებს, რომლებიც ბევრად უფრო ღრმად და მძაფრად ბუდობს ამა თუ იმ სოციალური ინსიტიტუციის მოცემულობაში. მცდარი იქნება იმის თქმა, რომ 1800-იან წლებში ქალების როლი ეკლესიის სტრუქტურაში ყოფნითა და დიასახლისობით განისაზღვრებოდა (Donnaway, 1985, pp. 20-23), მაშინ, როცა უამრავი სოჯორნერ თრუსის მსგავსი ადამიანი პლანტაციაში მუშაობდა, სურვილის წინააღმდეგ აჩენდა შვილებს, იყო ტყვეობაში და განიცდიდა არაადამიანურ მოპყრობას.

დროის სვლამ თავისთავად განაპირობა ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესება და ამ საკითხში წინსვლა. გასაკვირი არაა, რომ სოჯორნერის შემდეგი თაობა შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყო, თუნდაც სიტყვის თავისუფლების მხრივ. მიუხედავად იმისა, რომ მე-20 საუკუნის მიჯნაზე საშუალო კლასის შავკანიან ქალებს, შესაძლოა, არ გამოუცდიათ სიღატაკე ან მონობა, მათ, როგორც ქალებს, ნამდვილად უგრძვნიათ კაცთა უპირატესობაზე ორიენტირებული საზოგადოება და უფრო მიდრეკილნი იყვნენ, მონაწილეობა მიეღოთ დისკრიმინირებული ჯგუფების ზოგიერთი პირობის შემსუბუქებაში. ეს უკანასკნელი შესაძლებელი იყო სწავლებით, ცნობიერებისა და შეგნების ამაღლებით, ქალებისა და ამ საზოგადოების სირთულეების ვერბალიზებით, მასში დაფუძნებაში დახმარებით და ა.შ. მერი ჩარჩ ტერელი სწორედ ასეთი ადამიანი იყო, ცნობილი აფროამერიკელი აქტივისტი – ფერადკანიანთა ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი, ერთადერთი ორგანიზაციისა, რომელიც წარმოადგენდა შავკანიან ქალებს პროგრესულ ხანაში. ის ასევე ორმხრივად განიხილავდა ქალთა სუფრაჟისტულ მოძრაობას და ამბობდა, რომ თავისი სქესისთვის უფლებების მინიჭება თავისი რასის ემანსიპაციაც იყო (Quigley, 2016). ამ მხრივ საინტერესოა ტერელის გამოსვლა "What it Means to be Colored in the Capital U.S. ".

ავტორი ღირებულ ინფორმაციას გვაძლევს ამერიკის შეერთებულ შტატებში მე-20 საუკუნის დასაწყისში არსებულ რასობრივ და გენდერულ მდგომარეობაზე. ის იყენებს ირონიას და განსაზღვრავს, თუ რამდენად არასწორია, დავუძახოთ ვაშინგტონს „სამოთხე ფერადი ადამიანისთვის", როგორც მას ფართოდ ეძახდნენ ამ პერიოდში (The Colored Man's Paradise"), ვინადან მას, როგორც შავკანიან ქალს, არ შეუძლია ვაშინგტონში მშვიდობიანად ჩასვლა, საცხოვრებლის მოძებნა, ჭამა, ტრანსპორტის გამოყენება, საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში თავისუფლად სიარული და ა.შ. ვფიქრობ, ეს სწორ წარმოდგენას ქმნიდა ქალების მდგომარეობაზე, რადგან მიუხედავად ფორმალურად თითქმის ყველაფრის უფლების ქონისა (თუმცა არ დაგვავიწყდეს, რომ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების სეგრეგაცია 1954 წლამდე არ მომხდარა), რეალური სურათი სრულიად სხვანაირი იყო. ავტორის დაკვირვებებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აფროამერიკელთა მონობა ფორმალურად დამთავრდა, ხოლო აფროამერიკელი ქალები ისევ მონობის ქვეშ იყვნენ. ნარატივის უმნიშვნელოვანესი ნაწილი დასაქმებას და მასთან დაკავშირებულ დაბრკოლებებს ეხება. ვიცით, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან შავკანიანი ქალები უკვე სწავლობდნენ (Thomas, 2015) და მეტიც, მერი ჯეინ პატერსონმა 1862 წელს ბაკალავრის ხარისხი მიიღო ობერლინის კოლეჯიდან (Fletcher, 1943, p. 532. ავტორის მიხედვით, მნიშვნელობა არ ჰქონდა გამოცდილებასა და განათლებას ფერადკანიანი ქალებისთვის,

მათი სქესი და ეთნიკურობა უკვე განაჩენი იყო და ეს, რა თქმა უნდა, ფერადკანიან მამაკაცებსაც ეხებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი მონების შვილები მე-20 საუკუნის დასაწყისში უკვე სრულიად თავისუფლები იყვნენ, ვხედავთ, რომ არაფერი გააჩნდათ ამ თავისუფლების აღსრულებისთვის ან თუნდაც ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნისთვის. მონობის, შევიწროებისა და ჩაგვრის ტენდენცია აქტიურად გრძელდებოდა. ავტორი მძაფრ კონტრასტს ქმნის მისი გამოსვლის პირველ და ბოლო პარაგრაფში, როდესაც დასკვნის სახით ამერიკის შეერთებულ შტატებს სიბოროტისა და სიძულვილის ადგილს უწოდებს, რომელიც ძალიან შორს იყო და კიდევ მინიმუმ 50 წელი ასე იქნებოდა იმ „სამოთხისგან“, რომელსაც მას უწოდებდნენ. დავეთანხმები ტერელს, რომ შავკანიანების ჯაჭვების გარეშე დანახვა არ ნიშნავს, რომ ისინი თავისუფლები არიან და თავისუფალ მიწაზე დადიან.

ამრიგად, თუ ჩარჩ ტერელის გამოსვლას თრუსის სიტყვას შევადარებთ, დავინახავთ, რომ დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი გვაქვს უფლებათა ფორმალურ დონეზე გაუმჯობესების მხრივ, თუმცა ემოცია და გასაჭირი ისევ ისეთი მძაფრი და შეუმსუბუქებელია აფრო-ამერიკელ ქალებში. აქ კი დასკვნის გამოტანის საშუალება გვაქვს, საქმე ისაა, რომ ფერადკანიან ქალთა ემანსიპაცია ფასადურ სახეს ატარებდა და პრაქტიკულად უფლებები, ფურცლის გარდა, რეალიზებას ვერსად ახდენდა.

მესამე ესეი, რომელსაც განვიხილავ, ცნობილ ამერიკელ ანთროპოლოგსა და ავტორს ზორა ნილ ჰერსტონს ეკუთვნის – “How It Feels to Be Colored Me” (1928) და ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებული ესეია ამერიკულ ნარატივებსა თუ ანთოლოგიებში. ის აღწერილობით ხასიათისაა და ავტორი ცდილობს, ხაზი გაუსვას საკუთარი იდენტობის, კერძოდ, აფროამერიკელი ქალის იდენტობის შეცნობის მნიშვნელობას. ასევე საუბრობს წარსულის მიღწევებით განპირობებული სიამაყის ქონის პრობლემურობაზე. “How It Feels to Be Colored Me” 1928 წლის მაისში გამოიცა და ის დეტალურად აღწერს, თუ როგორი იყო რიგითი აფროამერიკელი ქალის ცხოვრება ამერიკის 1920-იან წლებში. შაინტერესოა, რომ ესე არ არის გათვლილი მხოლოდ ფერადკანიან მკითხველზე, იგრძნობა ავტორის ინიციატივა, აგრძნობინოს თეთრკანიანებს, თუ რას ნიშნავს გექცეოდნენ განსხვავებულად, ამ უკანასკნელის ნეგატიური დატვირთვით. პერიოდიდან გამომდინარე, ესეი არანაირად არ ჯდება რასობრივი სეგრეგაციის იდეოლოგიაში, თუმცა არც ჰარლემის რენესანსის სენტიმენტებს ერწყმის. ჰერსტონი საკმაოდ უჩვეულო რიტორიკას ავითარებს, მას სურს „გაეყაროს“ „მტირალა შავკანიანების სკოლას“ (Divorce “the sobbing school of Negrohood”), რომელიც განუწყვეტლივ ახსენებს წარსულის ტკივილებს, უსამართლობებს და იმედგაცრუებებს. მას სურს იცხოვროს მშვიდი ცხოვრებით, როგორც თავისუფალმა აფროამერიკელმა ქალმა. ეს

შეხედულება გაკრიტიკებული იყო ზოგი ფერადკანიანისგანაც კი, ვინაიდან არ მიაჩნდათ სწორი წარსულის უგულებელყოფა (Pierpont, 2018). თუმცა ისაა საყურადღებო რომ, ჰერსტონის იდეები არ ატარებდა ამ აზრს, მისი მთავარი სათქმელი ის იყო, რომ ახალი ეტაპის დრო იყო აფროამერიკელთა ცხოვრებასა და რეალობაში, სადაც ადამიანს აღიქვამდნენ რიგით ადამიანად და არა ყოფილი მონის შთამომავლად. ავტორის აზრით, ეს იყო უმთავრესი ფაქტორი მყარი რასობრივი იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში. ნარატივს კარგად ეტყობა, რომ ავტორი ანთროპოლოგია და ვხვდებით სოციალური ნორმებისა და მოლოდინების იმდროინდელ ჩარჩოებს, რაც არა მარტო თეთრკანიან, არამედ ფერადკანიან მოსახლეობაშიც იყო გაბატონებული. ამრიგად, განხილულ სამ გამოსვლას შორის ძალიან საგულისხმო კავშირია, რომელიც პერიოდების მიხედვით იცვლება – თრუსის შემთხვევაში მისი მთავარი მიზანი უფლების მიღებაა, ტერელი მიღებული უფლების ფასადურობაზე საუბრობს, ხოლო ჰერსტონი ცდილობს, უფლების წარმატებულად რეალიზების გზები დასახოს. დღევანდელობაში მას, ალბათ, ლიბერტარიანელს დავუძახებდით. ზორა ღიად ეწინააღმდეგებოდა უცხო ქვეყნებში ინტერვენციას, გმობდა რუზველტის ახალ კურსს, როგორც აფროამერიკელებისთვის საზიანო პოლიტიკას (Brown, 2016) და, მეტიც, ბევრისთვის გასაკვირი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ საქმეში ბრაუნი განათლების საბჭოს წინააღმდეგ, ჰერსტონი არ დაეთანხმა სასამართლო გადაწყვეტილებას. მისი აზრით, სეგრეგაცია განათლების სფეროში გარდაუვალი იქნებოდა ახლო მომავალში და არ იყო ამისი ნაძალადევი ხასიათით გაკეთების საჭიროება. ეს პროცესი ბუნებრივად უნდა მომხდარიყო, რაც მის სიმყარესა და სანდოობას განაპირობებდა (Peters, 2004). შაინტერესოა, როგორ ტრანსფორმირდა ავტორის შეხედულებები მის ლიტერატურაშიც, ვინაიდან ჰერსტონი, ანთროპოლოგის გარდა, მწერალიც იყო. 1937 წელს დაწერილი რომანი *Their Eyes Were Watching God* აფროამერიკული და ქალთა ლიტერატურის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად ითვლება (Lacayo, 2010).

ამრიგად, როდესაც ქალთა უფლებებზე და სექსისმზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია, არ განვიხილოთ მათი სპეციფიკური შრეები. განსაკუთრებით საინტერესოა აფროამერიკელ ქალთა ნარატივები, რადგან მასში ასევე გასათვალისწინებელი და საყურადღებოა რასიზმის ინსტიტუცია. ნარატივებში ნათლად ჩანს არა მარტო მე-18, მე-19 საუკუნეებში არსებული აბოლიციონისტური პრობლემები, არამედ მე-20 საუკუნისთვის არსებული წინააღმდეგობები. ჩანს, თუ რა იყო პრიორიტეტული თითოეული ამ პერიოდის დროს და როგორ იცვლებოდა შევიწროებული ჯგუფების სატკივარი და პრობლემები. განხილული გამოსვლები ასევე საინტერესოა იმ მხრივ, რომ სხვა-

დასხვა პერიოდის გარდა, ავტორები სხვადასხვა პროფესიისა და მოწოდების პირები არიან. ის ფაქტი, რომ სამივე ავტორი აფრო-ამერიკელია და პირადი გამოცდილება აკავშირებდა მონობის ინსტიტუტთან, უფრო მეტ დამაჯერებლობასა და ავთენტიკურობას აძლევს მათ ანალიზზსა და დაკვირვებებს. ამ სამი ტექსტის ანალიზიც კი ცხადყოფს, თუ რამდენად თვალთმაქცური და ფარისევლური იყო აფროამერიკელ ქალთა ე.წ. თავისუფლება მე-19 და მე-20 საუკუნეებში. შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აფროამერიკელ ქალთა თავისუფლება მხოლოდ ფასადურ სახეს ატარებდა, მათ თავისუფლებას განსაკუთრებით ხელს უშლიდა რასობრივი სტიგმა და სეგრეგაციის კანონები, რომლებიც ფართოდ იყო გაბატონებული ამერიკის შეერთებული შტატების რეალობაში. ხაზგასმულია ინტერსექციონალურობის კონცეფციის მნიშვნელობა იმ მხრივ, რომ მარგინალიზებული საზოგადოებრივი ინსტიტუტები გარკვეულ დონეზე ურთიერთკავშირშია და შეუძლებელია მათი შესწავლა ერთმანეთის გათვალისწინების გარეშე. ამ სამი გამოსვლის ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ მოცემულ სხვადასხვა პერიოდში ერთი და იმავე ხასიათის დამოკიდებულება იყო აფროამერიკელი ქალების მიმართ და რამდენიმე წინ გადადგმული ნაბიჯი ცხადია, საკმარისი არ იყო ამ პრობლემის გადასაწყვეტად, თუმცა არ სუსტდებოდა ყურადღება და პრობლემური საკითხების განხილვა აფროამერიკელი ავტორებისა თუ აქტივისტების მხრიდან, რამაც, ჩემი აზრით, უდავოდ, სასიკეთოდ იმოქმედა აფროამერიკელ ქალთა დღევანდელ მდგომარეობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Accomando, C. Demanding a Voice among the Pettifoggers: Sojourner Truth as Legal Actor. Melus, 28(1), 61, 2003.
2. Brown, C. The Conservative Plot to Hijack Zora Neale Hurston. Retrieved in 02.02.2019 from CounterPunch.org: www.counterpunch.org/2011/02/11/the-conservative-plot-to-hijack-zora-neale-hurston/.
3. Crenshaw, K. W. INTERSECTIONALITY: Mapping the Movements of a Theory. Du Bois Review: Social Science Research on Race, 10(2), 303-310, 2014.
4. Donnaway, L. Women's Rights Before the Civil War. The Student Historical Journal, 20-23, 1985.
5. Fletcher, R. A History of Oberlin College -- From its Foundation through the Civil War. Oberlin College, 2, 534-535, 1943.
6. Hurston, Z. N. How It Feels to Be Colored Me. Retrieved 04 10, 2019, from www.casa-arts.org/cms/lib/PA01925203/Centricity/Domain/50/Hurston How it Feels to Be Colored Me.pdf.

7. Lacayo, R. All-TIME 100 Novels. Retrieved 15.01.2019 from TIME: entertainment. time.com/2005/10/16/all-time-100-novels/slide/their-eyes-were-watching-god-1937-by-zora-neale-hurston/.
8. Lendon, R. J. DISCRIMINATION IN AMERICA: FINAL SUMMARY. Harvard T.H. Chan, 2018.
9. Perlman, M. *The Origin of the Term 'Intersectionality'*. Retrieved 04 20, 2019, from Columbia Journalism Review: www.cjr.org/language–corner/intersectionality.php.
10. Peters, P. Zora Neale Hurston's Rejection of the Brown vs. Board of Education Decision. Retrieved 04 20, 2019, from Allacademic Research: http://research.allacademic.com/meta/p–mla–apa–research–citation/1/1/6/5/3/p116537–index.html
11. Pierpont, C. R. Zora Neale Hurston, American Contrarian,2018, Retrieved 04 18, 2019, from The New Yorker: www.newyorker.com/magazine/1997/02/17/a-society-of-one.
12. Quigley, J. MARY CHURCH TERRELL: THE GREAT-GREAT GRANDMOTHER OF BLACK LIVES MATTER, 2016, Retrieved 04 10, 2019, from Historians: https://www.historians.org/publications-and-directories/perspectives-on-history/may-2016/mary-church-terrell-the-great-great-grandmother-of-black-lives-matter.
13. Ruffin, F. E. *Sojourner Truth Life Narratives.* New York: PowerKids Press, 2002.
14. Terrell, M. C. (n.d.). What It Means to Be Colored in the Capital of the United States. Retrieved 04 12, 2019, from Infoplease: www.infoplease.com/us/speeches-primary-documents/what-it-means-be-colored-capital-united-states.
15. Truth, S. Ain't I A Woman?, 1851, Retrieved 04 2019, 10, from U.S. National Park Service: www.nps.gov/articles/sojourner-truth.htm.

African-Americal Women Naratives. Three Women – One Problem

Lizi Dzagnidze

Ph.D. Candidate of English Philology, Visiting Lecturer at Tbilisi State University

Abstract

The aim of the paper is to closely examine public speeches of African-American women at different times and to determine the importance of defining the problems of other marginalized groups while discussing sexism and women's rights. The paper utilizes English primary and secondary sources around this issue and based on their analysis, emphasizes the scope and significance of black women's harassment both in the public and in the personal context. In the racial aspect of the issue, three women's public speeches are used to better understand the issue – Sojouner Truth "Ain't I a Woman?" (Civil Rights

Activist 1796-1883), Mary Church Teller, (Suffragist, 1863 – 1954) ”What it Means to be Colored in The Capital US” and Zora Neale Hurston (writer, 1891 -1960)”How it Feels to Be Colored Me”.After consideration, the comparative analysis concludes that the freedom of the African-American women was only the façade of the faculty, and they were particularly hindered by racial stigma and segregation laws that were widely dominated in the United States of America. The importance of the concept of intersectionalism emphasizes the fact that marginalized public institutions are at a certain level of interrelation with each other and it is impossible to study them without their consideration. From these three outcomes, it is clear that in the given periods, there was the same attitude towards African-American women and a few steps forward did not create a wider solution to the range of problems.